კონსტრუქციული დასკვნა

საპროექტო ობიექტი:
ქ.თბილისი, ქსნის ქ.№5, ნაკვეთის ნომერი 01.12.01.008.014, მაღაზია-საწყობი

საგანი:
მომიჯნავე შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება მშენებლობის პროცესში

საპროექტო შენობის ტერიტორიას უშუალოდ ემიჯნება მხოლოდ ერთი არსებული შენობა. ის განლაგებულია სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან, ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.12.01.008.013.

აღნიშნული სამრეწველო დანიშნულების შენობა ერთსართულიანია, უსარდაფო. აშენებულია გასული საუკუნის მეორე ნახევარში. კონსტრუქციულად წარმოდგენილია ანაკრები რკინაბეტონის სვეტებით, კოჭებით და დახურვის პანელოვანი ფილებით. გარე შევსების კედლები – ანაკრები მძიმე რკინაბეტონის ბლოკები. შენობის საძირკვლები წერტილოვანი და ლენტურ-რანდკოჭებიანი. ვიზუალური დათვალიერებით შენობაზე ფიქსირდება ბზარები და ამორტიზაცია, თუმცა მთლიანობაში ის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

არქიტექტურული გადაწყვეტებით საპროექტო შენობისთვის არ არის გათვალისწინებული ქვაბულის ამოღება. მისი დაფუძნება შესაძლებელია მცირე ჩაღრმავების წერტილოვან-ლენტური საძირკვლებით, მომიჯნავე შენობის დაფუძნების თანმიმდევრულად. შესაბამისად, საპროექტო შენობის საძირკვლების მოსაწყობად დაცული უნდა იქნას სამშენებლო ნორმების და წესების პნ 02.01-08, მუხლი 10, პუნქტი 5 –ის მოთხოვნები.

ზემოაღნიშნული რეკომენდაცია-გადაწყვეტების გათვალისწინებით ახალი მშენებლობის წარმოება არ მოახდენს უარყოფით გავლენას არსებულ მომიჯნავე შენობის მდგრადობაზე და მზიდუნარიანობაზე.

მშენებლობის ინჟინერ-კონსტრუქტორი;
რეგისტრირებული ექსპერტი; ტ.მ.დ. ე. წოწერია

თბილისი 04-01-2017